

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №326

2019 წლის 10 ივლისი

ქ. თბილისი

**ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 3255.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ**

### **მუხლი 1**

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლისა და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 3255.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №64.10.09.175) სასტუმრო კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა თანდართული დოკუმენტაციით.

### **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

